ა(ა)იპ აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო
სამხატვრო სასწავლებელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ12. 42243033**

თარიღი:**29/10/2024**

ა(ა)იპ ,,აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ საკუთრებაში არსებული ერთ ლოტში გაერთიანებული, მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონებისსაწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისს ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2020 წლის 29 მაისის N8/7 დადგენილების, ა(ა)იპ ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის“, 2024 წლის 2 ივლისის დასკვნის შესაბამისად და ქალაქ ფოთის მუციპალიტეტის მერიის, 2024 წლის 25 ივლისის N42-422420785 და 21 ოქტომბრის N 42-422429577 წერილების საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გამოცხადდეს ერთ ლოტში გაერთიანებული, უპირობო ელექტრონული აუქციონი, ა(ა)იპ ,,აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ (ს/კ 415106361) საკუთრებაში არსებული, დანართი N1-ში მითითებული მოძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ა(ა)იპ ,,აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ საკუთრებაში არსებული, ერთ ლოტში გაერთიანებული, დანართი N1-ში მითითბული მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 33.00 (ოცდაცამეტი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 20.00 (ოცი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 10.00 (ათი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასასრულის დრო და თარიღი: 2024 წლის 30 ოქტომბრის 15:00 საათიდან, 2024 წლის 13 ნოემბრის 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება , რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება აუქციონატორსა და დაწესებულების ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს ა(ა)იპ ,,აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება „ა(ა)იპ აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ ანგარიშზე, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა „ა(ა)იპ აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ შძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 751117499.

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთვსდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის გატარებას.

მუხლი 11. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ა(ა)იპ ,,აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“ სპეციალისტს გელა ელიზაროვს.

მუხლი 13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი : ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ.N3).

მუხლი 14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მაია კორკელია

აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი-აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელის დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი